

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით

With the right of manuscript

გიორგი ლაცაბიძე

Giorgi Latsabidze

წინასასამართლო სხდომის როლი მტკიცების
პროცესში

**"The Role of a Preliminary Hearing in the
Process of Proof"**

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი

Educational programme: Law

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
Thesis is presented for obtaining of the PhD Degree in Law

რეზიუმე

Abstract

თბილისი

Tbilisi

2026

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გიორგი ლაცაბიძე

წინასასამართლო სხდომის როლი მტკიცების
პროცესში

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

თბილისი

2026

1

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი:
თამარ სადრაძე
სამართლის დოქტორი,
პროფესორი

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ
რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკაში. თბილისი, ირინა ენუქიძის №3
(აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)

სარჩევი

შესავალი.....	4
სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა, კვლევის თეორიული და პრაქტიკული კონტექსტი.....	9
მეთოდოლოგიის კვლევის აღწერა და შედეგები	13
განსჯა, მეცნიერული სიახლე.....	11
რეკომენდაციები და დასკვნა.....	23

შესავალი

საკვლევი პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა - საკითხის აქტუალობა და დისერტაციის კვლევის ინტერესი თუ რა როლი აქვს წინასასამართლო სხდომას მტკიცების პროცესში გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 1998 წლის 20 თებერვლის რედაქციის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (შემდეგში-სსსკ) არ იცნობდა აღნიშნულ სტადიას და 2009 წლის 9 ოქტომბერს მიღებულმა, დღეს მოქმედმა სსსკ-მა მტკიცების პროცესის ახალი სტანდარტები შემოიტანა და სრულიად ახალი, განსხვავებული სასამართლო პრაქტიკა დანერგა, რამაც კიდევ უფრო განსხვავებული, ახლებური გამოწვევების წინაშე დააყენა მართლმსაჯულება.

წინასასამართლო სხდომაზე და მასთან დაკავშირებული საკითხების მიმოხილვისას აღმოჩნდა, რომ მწირია ლიტერატურა ამ საკითხთან დაკავშირებით და არ არსებობს ისეთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც განიხილავს და სიღრმისეულად აანალიზებს წინასასამართლო სხდომას, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან და დამოუკიდებელ სტადიას სისხლის სამართლის პროცესში.

ეს არის პირველი მცდელობა სიღრმისეულად განხილული იქნას ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა წინასასამართლო სხდომა, როგორც დამოუკიდებელი სტადია სისხლის სამართლის პროცესში და ამ სტადიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები, უმეტესწილად, მტკიცების პროცესის შესაბამისი ნაწილის, ფარგლებისა და შინაარსის განსაზღვრა, რაც წინასასამართლო სხდომის კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება.

სსსკ-ის 219-ე და 220-ე მუხლებში მოცემულია ის ძირითადი საკითხები, რომელსაც განიხილავს წინასასამართლო სხდომის მოსამართლე. სსსკ მხოლოდ ამ მუხლებით არ შემოიფარგლება წინასასამართლო სხდომასთან მიმართებით და როდესაც წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განიხილავს სსსკ-ის 219-ე მუხლში მოცემულ საკითხებს, როგორცაა მაგალითად მტკიცებულებათა დასაშვებობა, უწევს იხელმძღვანელოს ასევე იმ ნორმებით, რომელიც მიმოხეულია სსსკ-ის სხვადასხვა მუხლებში და ეხება მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხებს, რაც კიდევ უფრო საინტერესოს, პოლემიკურს და კომპლექსურს ხდის წინასასამართლო სხდომას.

სწორედ ამიტომ შეირჩა არჩევანი ამ საკითხის კვლევასა და სიღრმისეულ შესწავლაზე, რაც საინტერესო უნდა იყოს როგორც პრაქტიკოსი იურისტებისათვის და ამ სფეროში მომუშავე პირებისათვის ასევე, ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირისათვის.

კვლევის მიზანი - წინასასამართლო სხდომაზე განსახილველი საკითხების სწორად განხილვა და გადაწყვეტა მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც საქმის სასამართლოში დროულ და სწრაფ განხილვაში, ასევე კანონიერი და სამართლიანი განაჩენის დადგენაში. წინასასამართლო სხდომის როლისა და სხდომაზე განსახილველი საკითხების ნაკლოვანებების გამოვლენა, მათი აღმოფხვრა და პრობლემური საკითხების გადაწყვეტა იმგვარად, რომ არ დაირღვეს ბრალდებულის უფლებები.

კვლევის ამოცანა - წინასასამართლო სხდომის, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი დამოუკიდებელი სტადიის ანალიზი და ამ სტადიაზე განსახილველი საკითხების სწორად გადაწყვეტის მნიშვნელობის განსაზღვრა სამართლიანი და კანონიერი განაჩენის დადგენის აუცილებლობისას.

გამოსკვლევნი საკითხის სწორად შეფასებისათვის საჭიროა წინასასამართლო სხდომის როლის განსაზღვრა, რა დროსაც კანონის მოთხოვნებთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება.

ჰიპოთეზა - წინასასამართლო სხდომის როგორც დამოუკიდებელი სტადიის გაცნობისას წარმოიშვა ვარაუდი, რომ ეს სტადია აღქმულია, როგორც ერთი უბრალო სხდომა ყოველგვარი შინაარსის მატარებლის გარეშე. ასევე, ამ სტადიაზე განსახილველი საკითხები არ არის სრულყოფილი და შესაძლოა, რიგ შემთხვევებში მიღებული გადაწყვეტილება ლახავდეს ბრალდებულის რიგ უფლებებს და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას მის სამართლებრივ მდგომარეობაზე ცუდად ისახებოდეს.

შესაბამისად, წარმოიშვა ვარაუდი, რომ არსებობდა საკანონმდებლო ცვლილებების შეტანის საჭიროება, განსახილველი საკითხების სიღრმისეული შესწავლა და ახლებური მიდგომის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობდა სწრაფი მართლმსაჯულების განვითარებასა და სასამართლოს საქმეებისაგან განტვირთვას.

წარმოდგენილი კვლევის შედეგად გამოვლენილი მეცნიერული საიხლე მდგომარეობს შემდგომში, რომ გაანალიზებულია წინასასამართლო სხდომის ადგილი და დანიშნულება სისხლის სამართლის პროცესის სტადიათა სისტემაში. განხილული და გადაჭრილია წინასასამართლო სხდომამდე განსახილველი საკითხები, როგორცაა წინასასამართლო სხდომის თარიღის ჩანიშვნისა და წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრის საკითხი, შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული ასპექტები.

შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის განხილვისას გაანალიზებულია თუ როდის ხდება მხარეების მიერ მოპოვებული ინფორმაციის (მასალების) მტკიცებულებად ცნობა. ამ საკითხთან დაკავშირებით ასევე საყურადღებოა, რომ ხშირად მხარეები ერთმანეთს არ უცვლიან ისეთ ინფორმაციას, რომელსაც არ გააჩნია მტკიცებულებითი ძალა. მაგ: საპროცესო დოკუმენტები, მიმართვის წერილები, თუმცა სასამართლო ამ ინფორმაციას მაინც დასაშვებად ცნობს, რადგან მტკიცებულებად არ მიიჩნევს. ასევე მიმოხილულია, აქვთ თუ არა მხარეებს დასაკითხ პირთა სიის (ნუსხის) წარდგენის ვალდებულება, როდესაც წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე ცვლიან მტკიცებულებებს. ამ საკითხის განხილვისას მიმოხილულია უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტება და საერთო სასამართლოების პრაქტიკა. ასევე, გაკეთებულია შედარებითსამართლებრივი ანალიზი.

წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხისას გადაჭრილია შემდეგი საკითხები: შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლაზე უნდა გავრცელდეს თუ არა სსსკ-ის 72-ე მუხლის დანაწესი „მოწამლული ხის ნაყოფის“ პრინციპი; თუ ვინ მოიაზრება დაცვის მხარეში; როგორ უნდა დაიცვან მხარეებმა სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილში არსებული 5 დღიანი ვადა; ეს 5 დღიანი ვადა გამოძიების ვადაში შედის თუ წინასასამართლო სხდომის ვადას ეკუთვნის; როდის მთავრდება გამოძიება როგორც ერთ-ერთი დამოუკიდებელი სტადია და იწყება წინასასამართლო სხდომა; თუ რამდენად კანონიერია როდესაც მხარედებელი ინფორმაციის გადაცემის შესახებ მოთხოვნას იმავდროულად აფიქსირებს მტკიცებულებების გაცვლის ოქმში. ასევე, მტკიცებულებათა გაცვლის საკითხის განხილვის დროს შემოთავაზებულია მოსაზრება, რომ შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლისას ტექნიკური საშუალების დანერგვის აუცილებლობა ხელს შეუწყობს სწრაფ მართლმსაჯულებას.

წინასასამართლო სხდომაზე განსახილველი საკითხების მიმოხილვისას გაანალიზებულია და გადაჭრილია შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები: ბრალდებულისათვის ბრალდების არსის განმარტება და ბრალდების დამძიმების შესაძლებლობა საქმის სასამართლოში წარმართვის შემდეგ; საპროცესო შეთანხმების დამტკიცება წინასასამართლო სხდომაზე; ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის ჩანიშვნის პრობლემა; მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვისას მოსამართლის როლზე; აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადასინჯვა წინასასამართლო სხდომაზე და მისი გასაჩივრების შესაძლებლობა; წინასასამართლო სხდომაზე სხვა განსახილველ საკითხები; წინასასამართლო სხდომის მოსამართლის აცილება და მიმდინარე და შემაჯამებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.

პრაქტიკული რეკომენდაციების სახით შემოთავაზებული იქნა: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის პროექტები; განისაზღვრა წინასასამართლო სხდომის დანიშნულება და მიზანი; როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე, როდესაც თვლის რომ დარღვეულია წინასასამართლო სხდომის თარიღის ჩანიშვნის ვადა; რა ვადა იგულისხმება „ტერმინ გონივრულ ვადამდე გაგრძელებაში“ რომლის პერიოდშიც შეიძლება ჩატარდეს წინასასამართლო სხდომა; მნიშვნელობა არ აქვს გააჩნია თუ არა ინფორმაციას მტკიცებულებითი ძალა, რადგან დოკუმენტები, მიმართვის წერილები მოიაზრება ინფორმაციაში, რაც აუცილებლად გაცვლილი უნდა იქნას; დასაკითხ პირთა სიის ნუსხის წარდგენა რომ არ ევალებათ მხარეებს. აუცილებელია შემუშავდეს ელექტრონული სისტემის სპეციალური მოდელი და შემდგომ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებით, მაგ, სსსკ-ის 83-ე მუხლში შესაძლო ინფორმაციის გაცვლის წესის ნაწილში ელექტრონულად გაცვლის პროცედურის გაწერით, ახლებურ, გამარტივებულ პრაქტიკას ჩაეყაროს თანმიმდევრულად საფუძველი.

უმუალოდ წინასასამართლო სხდომაზე განსახილველ საკითხთან მიმართებაში დადგინდა, რომ აუცილებელია ბრალდებულს ყოველგავრი წინაპირობის გარეშე განემარტოს ბრალი. პატიმრობის გადასინჯვა ძალაში დატოვებაზე გადაწყვეტილების გადასინჯვას არ ნიშნავს, ეს ვითარების გადასინჯვას ნიშნავს. აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას მხარეს უნდა ჰქონდეს პირველად გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახის გასაჩივრების უფლება; მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხის განხილვისას შესწავლილი განჩინებებით დადგინდა, რომ მხარეები სადაოდ აღარ ხდია ნორმის ჩანაწერს და არ არსებობს საკანონმდებლო ცვლილების მიზეზი. კვლევისას დადგინდა, რომ დაუშვებელი მტკიცებულებები მაინც ახდეს გავლენას პირის სამართლებრივ მდგომარეობაზე და აუცილებელია დასაშვები მტკიცებულებებისგან გაიმიჯნოს. წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დასაშვებობის და საქმის არსებით განხილვისათვის გადაცემის თაობაზე მიღებული განჩინება უნდა საჩივრდებოდეს.

სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვას კვლევის თეორიული და პრაქტიკული კონტექსტი

სსსკ შესაბამისი მუხლებით და ნორმებით წესრიგდება წინასასამართლო სხდომის ჩატარების წესი და გადასაწყვეტი საკითხები, რომლებიც მას სათანადოდ ვერ არეგულირებს და შეიცავს ხარვეზებს. სწორედ ამიტომ ნაშრომში წარმოჩენილია წინასასამართლო სხდომის მნიშვნელობა, გამოყოფილი და გადაჭრილია ის პრობლემური საკითხები, რაც დღეის მდგომარეობით აქტუალურია.

წინასასამართლო სხდომის ადგილისა და თარიღის განსაზღვრის საკითხის განხილვისას შესწავლილ იქნა საერთო სასამართლოების პრაქტიკა. ასევე, უცხო ქვეყნების კანონმდებლობისა და ლიტერატურის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრა დამოკიდებულია დანაშულის სიმძიმის კატეგორიაზე, ხოლო საქართველოში კი თავად მხარეები განსაზღვრავენ თავისი შეხედულებით. კვლევისას წამოიჭრა აზრი, რომ სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპის რეალიზებისათვის უკეთესი ხომ არ იქნებოდა, რომ საქართველოშიც წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრა დანაშულის კატეგორიების მიხედვით მომხდარიყო, თუმცა ამ კუთხით ქართული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ ძალიან მოქნილია ქართული კანონმდებლობა.

წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელებისას პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხის განხილვისას შესწავლილი იქნა სასამართლოს განჩინებები, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოში, ასევე სხვა რაიონული სასამართლოს განჩინებები, რის საფუძველზეც გამოჩნდა, რომ გასაჩივრების საკითხთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა საწყის ეტაპზე ისე იყო განვითარებული, რომ სასამართლო მხარეს არ აძლევდა მიღებული გადაწყვეტლების გასაჩივრების შესაძლებლობას, ხოლო შემდეგ სასამართლომ ეს მიდგომა შეცვალა და დღესდღეისობით განჩინებაში მხარეს განუმარტავს გასაჩივრების უფლებას.

წინასასამართლო სხდომა, როგორც მხარეთა მიერ წარმოდგენილ შესაძლო მტკიცებულებათა შემოწმების ძირითადი საშუალების საკითხის კვლევისას გამოჩნდა, რომ ძალიან დიდ როლს ასრულებს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზებისას. განსახილველი

საკითხის ბუნება, უმეტესწილად, პრაქტიკული ხასიათისაა და ბოლო წლების განმავლობაში სასამართლო პრაქტიკა, ამ კუთხით, საინტერესოდ განვითარდა. შესაბამისად, შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ საკითხის კვლევას, ძირითადად, სასამართლო პრაქტიკის ანალიზისა და კრიტიკული შეფასების გზითაა წარმოჩენილი. საკითხის უფრო კრიტიკულად წარმოჩენის მიზნით განხილულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 28 აგვისტოს #1/3848-19 განჩინება, ასევე უზენაესი სასამართლო განმარტებები.

შესაძლო მტკიცებულებათ თაობაზე ინფორმაციის გაცვლისას ტექნიკური საშუალებების დანერგვის საკითხის მიმოხილვისას განხილულია დარჯანია თ. სასამართლოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (ელექტრონული მართლმსაჯულების ქართული გამოცდილება) წიგნი სადაც საუბარია თუ როგორ ხდებოდა სისხლის სამართლის საქმეებზე პროკურატურასა და სასამართლოს შორის კომუნიკაცია.

წინასასამართლო სხდომის მოსამართლის აცილების საკითხის განხილვისას საუბარია იმ აქტებზე, რომლითაც განსაზღვრულია მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია და მიუხედავად ამ აქტების არსებობისა შეიძლება თუ არა რომ წარმოიშვას წინასასამართლო სხდომის მოსამართლის აცილების საკითხი.

წინასასამართლო სხდომაზე ბრალდებულისათვის ბრალდების არსის საკითხის კვლევისას შესწავლილი იქნა სასამართლო პრაქტიკა. თუ როდის შეიძლება ბრალის დამძიმება და რა ეტაპამდე. ასევე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლების შესახებ განმარტების საკითხის კვლევისას ის შემთხვევები, თუ რა პრობლემის წინაშე შეიძლება დადგეს სასამართლო.

წინასასამართლო სხდომაზე აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას საუბარია 2015 წლის 8 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებაზე თუ როგორ და რის საფუძველზე მოხვდა აღნიშნული ნორმის ცვლილება. თუ რა არის ამ ნორმის დადებითი მხარე და რა უარყოფითი მხარის მატარებელი შეიძლება იყოს, როდესაც აღნიშნული ნორმა პირველად გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრების უფლებას არ აძლევს მხარეს.

მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვისას გამოთხოვილ და შესწავლილია თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინებები, რითაც დადგინდა თუ რამდენად პრობლემური არის ნორმა და საჭიროებს თუ არა საკანონმდებლო ცვლილებას. მიმოხილულია სასამართლოს განჩინებები, რომელიც მტკიცებულებების დაუშვებლობას ეხება. შესწავლილია პრაქტიკა და გამოკვეთილია ის პრობლემები, რომელიც მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის განჩინების გასაჩივრებისას შეიძლება შეგვხვდეს. საუბარია 2015 წლის 19 თებერვლის ცვლილებაზე, რის საფუძველზე სსსკ-ის 219-ე მუხლს დაემატა მე-7 ნაწილი, მანამდე სსსკ-ი დაუშვებელ მტკიცებულებათა ცნობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ იცნობდა. ამ საკითხზე ნამსჯელი აქვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიას 2015 წლის 23 იანვრის #1გ-71 განჩინებაში.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლით გამოჩნდა, რომ წინასასამართლო სხდომის მოსამართლეები მაინც უფროთხიან საკმარისობის ელემენტის არარსებობის პირობებშიც კი თამამი გადაწყვეტილების მიღებას, რასაც სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ქვა და ამ ტვირთს არსებითი განხილვის სხდომის მოსამართლეს კიდებენ.

მიმდინარე და შემაჯამებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების კუთხით შესწავლილია სასამართლო პრაქტიკა და მიმოხილულია ის საკანონმდებლო ცვლილების ისტორი, რაც მუხლს შეეხო. კვლევის ფარგლებში მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობასა და სისხლისსამართლებრივი დევნის არ შეწყვეტის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების აკრძალვა გასაჩივრებულია საკონსტიტუციო სასამართლოში.

მეთოდოლოგიის კვლევის აღწერა და შედეგები

კვლევისას უნივერსალური აზროვნების პრინციპებიდან გამოყენებულ იქნა მეტაფიზიკური, დიალექტიკური კვლევის მეთოდი, ასევე, კონკრეტულ-ისტორიული, შედარებითი სამართლებრივი, ჩატარდა დოკუმენტების კვლევის მეთოდი.

სისხლის სამართლის პროცესში კვლევის ჩატარება შეუძლებელია სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, განზოგადების, ანალიზის გარეშე. მაშასადამე, საჭირო გახდა კვლევის ემპირიული მეთოდის გამოყენება, რაც სრული პროცესის საკმაოდ მოცულობით ნაწილს იკავებს. კვლევისას გამოყენებულ იქნა დოკუმენტების შესწავლის, ლოგიკური ანალიზის და სტატისტიკური მეთოდები, რომლებიც ოპტიმალურ შედეგს იძლევა სასამართლო პრაქტიკასთან მუშაობისას. შესაფასებელ საკითხებზე დასკვნის გამოსატანად შესწავლილ იქნა სამეცნიერო ლიტერატურა და განხორციელდა მიღებული ინფორმაციის ანალიზი.

განსჯა, მეცნიერული სიახლე

ნაშრომში მოცემული და განხილულია წინასასამართლო სხდომა, როგორც სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი დამოუკიდებელი სტადია. ასევე განხილული და

დახასიათებულია წინასასამართლო სხდომის ადგილი სისხლის სამართლის პროცესის სტადიათა სისტემაში, მისი როლი და დანიშნულება. სხვადასხვა ქვეყნების წინასასამართლო სხდომისა და წინასასამართლო სხდომაზე განსახილველის საკითხების შესწავლის საფუძველზე, მოხდა წინასასამართლო სხდომის როლის განსაზღვრა მტკიცების პროცესში.

კვლევისას გამოჩნდა, რომ წინასასამართლო სხდომის დროისა და ადგილის განსაზღვრისას შეიძლება მოხდეს ისეთი, შემთხვევა, რომ მაგისტრატმა მოსამართლემ დაადგინოს კანონმდებლობით დადგენილი წინასასამართლო სხდომის გამართვისათვის დადგენილი ვადის დარღვევა და უარი უთხრას ბრალდების მხარეს წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრაზე. კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, რომ მაგისტრატ მოსამართლეს აქვს უფლება უარი უთხრას ბრალდების მხარეს წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრაზე, თუმცა მეორე მხარეს არის კანონმდებლის დათქმა, რომ წინასასამართლო სხდომა უნდა ჩატარდეს პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან არა უგვიანეს 60 დღისა.

სსსკ-ის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი 60 დღიანი ვადის დარღვევისას უნდა იმსჯელოს წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ და უნდა შეაფასოს სამართლებრივად, რადგან წინასასამართლო სხდომა თავისი ფუნქციებით, დანიშნულებით წარმოადგენს ინდიკატორს გამოძიების ხარისხისა და ეს არის ის სტადია, სადაც სასამართლო ამოწმებს თუ რამდენად არის წინასასამართლო სხდომასთან დაკავშირებული ვადები დაცული და რამდენად კანონის მოთხოვნათა დაცვით არის საგამომიებო თუ სხვა საპროცესო მოქმედებები ჩატარებული, რომელთა შეფასებას უპირველეს ყოვლისა წინასასამართლო სხდომაზე ხდება.

ნაშრომში ასევე დადგენილია სსსკ-ის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოხსენიებული ტერმინი „გონივრულ ვადამდე გაგრძელებაში“, რომ უნდა ვიგულისხმოთ 9 (ცხრა) თვიანი ვადა. ეს ის პერიოდია, სადამდეც შეიძლება გაგრძელდეს და ჩატარდეს წინასასამართლო სხდომა. ხოლო, სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-8 ნაწილში მოცემული 9 თვიანი ვადა არ შეიძლება აითვალოს დამოუკიდებლად სსსკ-ის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნისაგან, რადგან სსსკ-ის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს წინასასამართლო სხდომის გასამართად ვადის ათვლის დაწყებას, ხოლო 169-ე მუხლის მე-8 ნაწილი კი თუ სადამდე შეიძლება გაგრძელდეს ეს ვადა.

სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი 9 (ცხრა) თვიანი ვადა ამ საკითხზე უნდა იმსჯელოს წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ. წინასასამართლო სხდომის მოსამართლე თუ დარღვეულად მიიჩნევს 9 თვიან ვადას, ბრალდების მხარეს მიუთითებს ამ ნორმის დარღვევაზე, ასევე დარღვეულად მიიჩნევს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნასაც და დაუშვებლად ცნობს საქმეზე ყველა მტკიცებულებას, რაც შემდგომში საფუძველი იქნება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა (სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-6 ნაწილი).

წინასასამართლო სხდომის თარიღის დანიშვნის მიზნით სასამართლო სხდომის გამართვასთან დაკავშირებით მიმოიხილული სასამართლო პრაქტიკით დადგინდა, რომ სსსკ არ ავალდებულებს ბრალდების მხარეს ყველა სისხლის სამართლის საქმეზე მიმართოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე და აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვის შუამდგომლობის შემდეგ განსაზღვროს წინასასამართლო სხდომა. ბრალდების მხარეს შეუძლია მხოლოდ წინასასამართლო სხდომის გამართვის შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს. ამის უფლებას და შესაძლებლობას სსსკ-ის 208-ე მუხლი იძლევა. სსსკ-ის 208-ე

მუხლი ეხება პირველი წარდგენის დროს, მაგისტრატი მოსამართლის მიერ წინასასამართლო სხდომის ჩანიშვნის წესს. ამავე მუხლის მეხამე ნაწილი ადგენს, რომ პირის ბრალდებულად ცნობა არის ის ერთ-ერთი საფუძველი, რომელიც წარმოადგენს მაგისტრატი მოსამართლის მიერ წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრის საფუძველს.

სსსკ საგამონაკლისო წესით ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას და იძლევა იმ შესაძლებლობის დაშვებას, როდესაც სისხლის სამართლის საქმე განსახილველად შეიძლება გადაეცეს სხვა სასამართლოს. ეს ის ერთადერთი საგამონაკლისო შემთხვევაა, როდესაც წინასასამართლო სხდომის ჩატარების ადგილად განისაზღვრება არა ის ადგილი თუ სად ჩატარდა პირველი წარდგენის სხდომა, არამედ ზემდგომი სასამართლოს თავჯდომარე განსაზღვრას მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სხვა განსჯად სასამართლოს, სადაც განიხილება საქმე და ჩატარდება წინასასამართლო სხდომა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შესწავლილია ზემდგომი სასამართლოს თავჯდომარის განჩინებები.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არ მიუთითებს იმ შემთხვევაზე, თუ როდის შეიძლება ჩატარდეს წინასასამართლო სხდომა, როდესაც არასრულწლოვანი ბრალდებული პატიმარი არ არის. იმ შემთხვევაში თუ არასრულწლოვანი ბრალდებული პატიმრობაში არ იმყოფება, მაშინ აღარ მოქმედებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 64-ე მუხლის მოთხოვნა და წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სსსკ-ის 208-ე მუხლის მეხამე ნაწილით დადგენილი წესით.

წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 64-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი ვადის დარღვევად ვერ შეფასდება, რადგან აღნიშნული მუხლის ნაწილი მიუთითებს ისეთ შემთხვევაზე, როდესაც პირველი წარდგენის სხდომაზე განისაზღვრა წინასასამართლო სხდომის თარიღი და ამ თარიღამდე ვერ მოხერხდა წინასასამართლო სხდომის ჩატარება. გარდა ამისა, სსსკ-ის 208-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მისი დაკმაყოფილებიდან არაუგვიანეს 72 საათისა სასამართლო ისედაც იწვევს მხარეებს, რათა დაადგინოს, აუცილებელია თუ არა აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვება და თუ სასამართლო ჩათვლის, რომ აღარ არსებობს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობა, მაშინ შეცვლის ყველაზე მკაცრ აღკვეთის ღონისძიებას.

წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელებისას, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხის განხილვისას ის მოსამართლე, რომელიც მსჯელობს და აკმაყოფილებს წინასასამართლო სხდომის ვადი გაგრძელების თაობაზე შუამდგომლობას, სწორედ ისევ ის მოსამართლე განიხილავს პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხს და მიღებულ განჩინებით მხარეს განუმარტავს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გასაჩივრების უფლებას. საწყის ეტაპზე სასამართლო მხარეს არ აძლევდა გასაჩივრების უფლებას, ხოლო შემდგომ სასამართლომ ეს მიდგომა შეცვალა და მხარეს განუმარტავს გასაჩივრების უფლებას, მაშინ როდესაც სსსკ არ არეგულირებს აღნიშნულ საკითხს.

მიუხედავად ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკისა, რომელიც მხარეს აძლევს შესაძლებლობას გასაჩივროს

აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების განჩინება, ეს არ ნიშნავს, რომ კანონმდებელი მხარეს აძლევს გასაჩივრების უფლებას. თუ ვიტყვით, რომ სსსკ-ის 208-ე მუხლის მე-4 ნაწილით მიღებული განჩინების გასაჩივრების უფლებას კანონმდებელი აძლევს მხარეს, მაშინ სრულიად გაუგებარია წინასასამართლო სხდომაზე პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხისას იმავე წესითა და სტანდარტი მიღებული განჩინების გასაჩივრების უფლებას რატომ არ აძლევს წინასასამართლო სხდომის მოსამართლე მხარეს და რატომ განმარტავს, რომ მიღებული განჩინება ან არ გასაჩივრდება ან შეიძლება გასაჩივრდეს შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად. განხილულ ორივე შემთხვევაში სასამართლო ხელმძღვანელობს ამ კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი წესითა და სტანდარტით და გაუგებარია თუ ერთ შემთხვევაში სასამართლო მხარეს აძლევს გასაჩივრების უფლებას, მეორე შემთხვევაში ამის უფლებას რატომ არ აძლევს.

წინასასამართლო სხდომის მოსამართლე ვალდებულია შეამოწმოს ხომ არ არის დარღვეული სსსკ-ის 83-ე მუხლის შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის დადგენილი მოთხოვნები.

სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის მიხედვით: „მტკიცებულება კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია...“, ამ ნორმის სიტყვებიდან და სსსკ-ის 83-ე მუხლის („შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლა მხარეების მიერ“) ანალიზიდან ნათლად გამოჩნდა, რომ ინფორმაცია რომელიც წარდგენილია საწყის ეტაპზე არ ითვლება მტკიცებულებად, სანამ წინასასამართლო სხდომაზე არ მოხდება მხარეების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შემოწმება იმ კუთხით, თუ რამდენად კანონით დადგენილი წესითაა მოპოვებული და წინასასამართლო

სხდომის მოსამართლე დასაშვებ მტკიცებულებად არ ცნობს მათ მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას.

სსსკ-ის 83-ე მუხლის პირველი ნაწილში არსებული ჩანაწერი „გაცნობა“, არ აძლევს ბრალდების მხარეს უფლებას დაცვის მხარისაგან მოითხოვოს ის ინფორმაცია, რომლის წარდგენასაც დაცვის მხარე აპირებს სასამართლოში, როდესაც დაცვის მხარემ მოითხოვა ბრალდების მხარისაგან დაათვალიერების პირველი წარდგენის სხდომამდე ამოღებული ნივთი-საგანი, რომელიც ინახება ბრალდების მხარესთან. მოცემულ მუხლში არსებული ჩანაწერი „გაცნობა“ იძლევა იმის ინტერპრეტაციის საშუალებას, რომ თუ დაცვის მხარემ მოითხოვა ბრალდების მხარისაგან გააცნოს პირველ წარდგენამდე ამოღებული საგანი, ავტომატურად ეს აძლევს ბრალდების მხარეს დაცვის მხარისაგან მოითხოვოს ის ინფორმაცია, რომლის წარდგენასაც დაცვის მხარე აპირებს სასამართლოში. დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარესთან პირველ წარდგენამდე ამოღებული ნივთის დათვალიერება (გაცნობა) არ ნიშნავს შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნას და ეს გაიგივებული არ უნდა იქნას ინფორმაციის გაცვლის ე.წ. „მოთხოვნის რეჟიმთან“.

შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით, ინფორმაციის მოთხოვნა და გაცვლა დაიშვება სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე, მაგრამ მომთხოვნი, ანუ სუბიექტი შეიძლება იყოს უპირველესად მხოლოდ დაცვის მხარე. ბრალდების მხარეს მოთხოვნის უფლება, რომ მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც დაცვის მხარე აპირებს უჩნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სახეზეა ჯერ დაცვის მხარის მოთხოვნა.

სსსკ-ის 146-ე მუხლის მე-4 ნაწილის ასეთი სახით განმარტება, რომ აღნიშნული ნორმა მხოლოდ ბრალდების მხარეს აძლევს უფლებას მოითხოვოს დაცვის მხარისაგან ექსპერტიზის დასკვნა არასწორია. მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ერთმა მხარემ შეუძლია მოთხოვოს მეორე მხარეს ექსპერტიზის დასკვნა. თუ ვინ არის სსსკ-ის მიზენბისათვის მხარე ამას სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილი განმარტავს, რომლის მიხედვით მხარე არის „ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადოკატი, გამომძიებელი, პროკურორი“. ის მოსაზრება, რომ სსსკ-ის 83-ე მუხლის მეორე ნაწილით დაცვის მხარეს ისედაც შეუძლია შესაძლო მტკიცებულებების გადაცემის მოთხოვნა, ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ამ მუხლის სუბიექტად დაცვის მხარე არ მოიაზრება და დაცვის მხარე შეზღუდულია ექსპერტიზის დასკვნის მოთხოვნით.

სსსკ-ის ნორმების ანალიზიდან და უზენაესი სასამართლოს განმარტების შემდგომ „შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით“ სასამართლო პრაქტიკა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად, მაგ: თუ ბრალდების მხარესაც სურს დაცვის მხარის მოწმეების დაკითხვა, ბრალდების მხარე საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებს ფორმალურად იცავს, კერძოდ, დაცვის მხარისაგან მტკიცებულებების გადაცემის შემდეგ, კანონით დადგენილი წესით ბრალდების მხარე დაცვის მხარეს უცვლის ინფორმაციას და გადასცემს თავად დაცვის მხარის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებების ასლებს, რაც ასევე კანონით დადგენილი წესით წარუდგენს სასამართლოს.

შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლაზე უნდა გავრცელდეს თუ არა სსსკ-ის 72-ე მუხლის დანაწესი „მოწამლული ხის ნაყოფის“ პრინციპი.

სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქეპუნქტის ჩანაწერი „განიხილავს მხარეთა სხვა შუამდგომლობებს“ არ ნიშნავს, რომ მხარეებს შეუძლიათ წარმოადგინო წინასასამართლო სხდომის გამართვის 5 (ხუთ) დღიან პერიოდში მოსული რაიმე დოკუმენტი წინასასამართლოს სხდომაზე და იშუამდგომლონ მის დასაშვებ მტკიცებულებად ცნობა. ეს რომ კანონმდებელს ასე სდომოდა პირდაპირ გაითვალისწინებდა სსსკ-ის 83-ე, 219-ე ან 220-ე მუხლში. აღნიშნული ჩანაწერით გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევები, როგორცაა მაგ, წინასასამართლო სხდომაზე მხარემ იშუამდგომლოს, სისხლის სამართლის საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყოს იმ ბრალდებულების მიმართ სისხლის სამართლის საქმე, რომლებიც აღიარებენ ჩადენილ ქმედებებს და სადაოდ არ ხდიან წარმოდგენილ მტკიცებულებებს, სწორედ ეს იგულისხმევა ჩანაწერში „განიხილავს მხარეთა სხვა შუამდგომლობებს“.

შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლისას ტექნიკური საშუალების დანერგვა აუცულებელია. დღესდღეისობით საქართველოში სისხლის სამართლის საქმეზე შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლა ელექტრონულად შეუძლებელია, რადგან არ არსებობს ელექტრონული სისტემის სპეციალური მოდელი, რომელიც გაამარტივებს და დაარეგულირებს შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლას, როგორც მხარეებს შორის, ასევე სასამართლოსთან. ძირითადად პრაქტიკა ჩამოყალიბებულია იმდაგვარად, რომ მხარეები ერთმანეთს მატერიალური სახით ხელზე უცვლიან შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციას, ხოლო შემდეგ სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნის დაცვით სასამართლოს კანცელარიაში აბარებენ მატერიალურის სახით.

ელექტრონული სისტემის სპეციალური მოდელის შექმნით საშუალება მიეცემა მხარეებს და სასამართლოს ელექტრონულად განახორციელონ შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლა, ამით დაიზოგება დრო და ადამიანური რესურსი. იქნება უფრო პრაქტიკული და მხარეები აღარ იქნებიან დამოკიდებული ერთმანეთზე, რათა სსსკ-ის 83-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით მიაწოდონ ერთმანეთს და სასამართლოს სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ.

წინასასამართლო სხდომაზე ბრალდებულისათვის ბრალდების არსის და ამ ბრალდებით გათვალისწინებული სასჯელის ზომის განმარტების აუცილებლობას ასევე განაპირობებს ის მიზეზიც, რომ სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე მაინც არკვევს, ცნობს თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და რა მოცულობით, რომელ ქმედებას აღიარებს და რაში მიიჩნევს თავს დამნაშავედ. ამიტომ აუცილებელია, ბრალდებულმა იცოდეს რაში ედება ბრალი და წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ რაიმე წინაპირობის გარეშე აუცილებლად განუმარტოს ბრალდებულს ბრალდების არსი და ამ ბრალდებით გათვალისწინებული სასჯელის ზომა.

სსსკ არ ითვალისწინებს ბრალის დამძიმების შესაძლებლობას საქმის სასამართლოში განხილვისას. ნაშრომში შემოთავაზებულია თუ როგორ შეიძლება აღნიშნული საკითხის გადაჭრა, რითაც დაცული იქნება ბრალდებულის უფლებები.

თუ წინასასამართლო სხდომის მოსამართლე უარს ეუბნება მხარეს საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე, რადგან თვლის რომ საქმეში არ არის საკმარისი მტკიცებულებები რათა საქმეზე იქნას გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი და ამის

შემდეგ მთლიანობაში შეაფასებს საქმეს „ალბათობის მაღალი ხარისხის“ სტანდარტით, ეს მხარისათვის ყოველთვის არაობიექტურობისა და მიკერძოების ეჭვს გამოიწვევს. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია მოსამართლემ თვითაცილება განაცხადოს, რადგან არსებობს გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას (სსსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი). გარდა აღნიშნულისა, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმისას ფაქტობრივად წინასწარ გამოთქვამს მოსაზრებას საქმესთან დაკავშირებით, რითაც დაარღვევს სსსკ-ის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილს.

წინასასამართლო სხდომაზე თუ ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას და ბრალდებულს ბრალი წაუყენეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი დანაშაულის ჩადენისათვის და ბრალდებული დუმილის უფლებას იყენებს, მოსამართლემ მაინც უნდა დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა. იმ შემთხვევაში, თუ მრავალპირიან საქმეზე ზოგი ბრალდებული დუმილის უფლებას იყენებს და ზოგი უარს ამბობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე მოსამართლე საქმეს გამოყოს იმ ბრალდებულთან მიმართებაში, რომელიც დუმილის უფლებას იყენებს. ასევე, თუ ბრალდებული უარს აცხადებს პროცესში მონაწილეობაზე და იგი, არ ცხადდება სასამართლოში და არ იღებს მონაწილეობას მისი სისხლის სამართლის საქმის განხილვაში და ბრალდებულის პოზიციაც ცნობილი ან თუნდაც უცნობია მისივე ადვოკატისათვის, მოსამართლემ ეს ქმედება უნდა მიიჩნიოს ბრალდებულის მიერ თავის არიდებად სასამართლოში გამოცხადებაზე და არ უნდა ჩანიშნოს ნაფიც მსაჯულთა სხდომა.

სსსკ-ის 226-ე მუხლის მეორე ნაწილზე დაყრდნობით განიმარტება, რომ ბრალდებულს ნაფიც მსაჯულთა

სასამართლოზე უარის თქმის უფლება აქვს არსებითი განხილვის დროსაც, რაც ხშირად დაცვის მხარის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას ქმნის. პრაქტიკის სწორად ჩამოყალიბებას ხელს შეუწყობს სსსკ-ის 226-ე მუხლიდა მე-2 ნაწილის ამოღება.

აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის თაობაზე შუამდგომლობის წარდგენისას წინასასამართლო სხდომის მოსამართლეზე არ ვრცელდება სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი 24 საათიანი განხილვის ვადა, რადგან ეს საკითხები რომელიც ჩამოთვლილია სსსკ-ის 219-ე მუხლში არის უშუალოდ წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ წინასასამართლო სხდომის გახსნის შემდგომ განსახილველი საკითხები. შესაბამისად, აღკვეთის გადასინჯვა არის ერთ-ერთი მიმდინარე საკითხი, რომელსაც წინასასამართლო სხდომის მოსამართლე უშუალოდ სხდომის გახსნის შემდგომ განიხილავს.

მხარეს უნდა ჰქონდეს უფლება გაასაჩივროს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, მითუმეტეს მაშინ, როდესაც მის მიმართ პირველად გამოიყენება ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა.

დაუშვებელი მტკიცებულებების საკითხისას გამომჟღავნდა, რომ არ არსებობს რაიმე აქტი, რომელიც გადაწყვეტს დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულების ბედს. მტკიცებულება, რომელიც დაუშვებლად არის ცნობილი ის საქმეში მაინც რჩება და საბოლოოდ მაინც გავლენას ახდენს პირის სამართლებრივ მდგომარეობაზე.

თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიიდან გამოთხოვილი განჩინებების

შესწავლით დადგინდა, რომ მხარეები სადაოდ აღარ ხდიან სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის ჩანაწერს და არ არსებობს მისი ცვლილების საფუძველი.

წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა დასაშვებობის და საქმის არსებით განხილვისათვის გადაცემის თაობაზე მიღებული განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობის საკითხის შესწავლისას გამოჩნდა, რომ უნდა საჩივრდებოდეს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დასაშვებობის და საქმის არსებით განხილვისათვის გადაცემის თაობაზე მიღებული განჩინება. კვლევის ფარგლებში მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობა და საქმის არსებითად განხილვის გადაცემის გასაჩივრების აკრძალვა გასაჩივრებულია საკონსტიტუციო სასამართლოში.

რეკომენდაციები და დასკვნა

ჩატარებული კვლევის შეჯამებისას, მიგნებები და წინადადებები სამ ძირითად მიმართულებად, ნაწილებად დაიყო.

პირველი ნაწილი წინადადებებისა შეეხება წინასასამართლო სხდომამდე, გამოძიებისას არსებულ საკანონმდებლო ხარვეზებსა თუ სასამართლო პრაქტიკის სირთულეებს, რაც კავშირშია წინასასამართლო სხდომის სტადიასთან და ამ მიმართულებით კვლევისას გამოიკვეთა:

- მტკიცების პროცესში წინასასამართლო სხდომა მეორე სტადიაა, რომლის საშუალებითაც ხდება სისხლის სამართლის საქმიდან მხარეების მიერ გამოძიების

სტადიაზე კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა, რითაც მინიმუმამდე დადის საქმეზე დაუშვებელ მტკიცებულებაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

- წინასასამართლო სხდომის დანიშნულება სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისათვის მოსამზადებელი მნიშვნელობის ქონაა და გადაწყვეტილების მიღება (მტკიცების შესაბამისი სტანდარტით) გადაეცეს თუ არა საქმე არსებითი განხილვისათვის.
- თუ დარღვეულია წინასასამართლო სხდომის გამართვისათვის დადგენილი 60 დღიანი ან 9 (ცხრა) თვიანი ვადა ბრალდების მხარეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარი უნდა უთხრას და განჩინებაში განუმარტოს, რომ არსებითად არის დარღვეული სსსკ-ით დადგენილი პროცესუალური მოთხოვნები, რომელიც გავლენას ახდენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე და რაც განაპირობებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას, თუმცა წინასასამართლო სხდომის თარიღი მაინც ჩანიშნოს და განჩინებაში მიუთითოს, რომ ვადის დარღვევის ფაქტის არსებობის მიუხედავად, მისი განხილვის ფარგლებს სცილდება სსსკ-ის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული 60 დღიან ან 9 (ცხრა) თვიანი ვადის დარღვევაზე შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების მოხდენა და ამის თაობაზე უნდა იმსჯელოს წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ.

- სსსკ-ის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოხსენიებული ტერმინი „გონივრულ ვადამდე გაგრძელებაში“ იგულისხმება 9 თვიანი ვადა, რომლის პერიოდშიც შეიძლება ჩატარდეს წინასასამართლო სხდომა და ამ ვადას ვერ გასცდება.
- მნიშვნელობა არ აქვს გააჩნია თუ არა ინფორმაციას მტკიცებულებითი ძალა, რადგან დოკუმენტები, მიმართვის წერილები მოიაზრება ინფორმაციაში, რომელიც სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის მიხედვით არის მტკიცებულება და მხარე ვალდებულია გადასცეს ეს ინფორმაცია (მტკიცებულება) თუ სასამართლოში აპირებს მის წარდგენას და გამოკვლევას.
- უნდა შემუშავდეს ელექტრონული სისტემის სპეციალური მოდელი და შემდგომ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებით, მაგ, სსსკ-ის 83-ე მუხლში შესაძლო ინფორმაციის გაცვლის წესის ნაწილში ელექტრონულად გაცვლის პროცედურის გაწერით, ახლებურ, გამარტივებულ პრაქტიკას ჩაეყაროს თანმიმდევრულად საფუძველი.

მეორე ნაწილი წინადადებებისა ეხება უშუალოდ წინასასამართლო სხდომაზე არსებულ საკანონმდებლო ხარვეზებსა და სასამართლო პრაქტიკას. ამ მიმართულებით კვლევისას გამოიკვეთა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სსსკ-ის 219-ე მუხლის 1-ლი ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „წინასასამართლო სხდომის მოსამართლე ბრალდებულს განუმარტავს ბრალდების არსს და ამ ბრალდებით გათვალისწინებული სასჯელის ზომას.“

- პატიმრობის გადასინჯვა ძალაში დატოვებაზე გადაწყვეტილების გადასინჯვას არ ნიშნავს, ეს ვითარების გადასინჯვას ნიშნავს და აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის თაობაზე შუამდგომლობის წარდგენისას წინასასამართლო სხდომის მოსამართლეზე არ ვრცელდება სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი 24 საათიანი განხილვის ვადა.
- სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტს უნდა დავუმატოთ შემდეგი სახის ჩანაწერი: „...წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ პირველად გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე საჩივრდება ამ კოდექსის 207-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.“
- დასაშვებობის კუთხით შესაძლო მტკიცებულების შემოწმება თავისათავე არ გამოირიცხავს მის შინაარსობრივი კუთხით შემოწმებას და შემდგომ მისი შინაარსობრივ შეფასებასაც, რათა შემდგომში მისი დასაშვებობის საკითხი გადაწყდეს და საბოლოოდ სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვით დადასტურდა, რომ წინასასამართლო სხდომის მოსამართლის კომპეტენცია მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას მტკიცებულებათა უტყუარობისა და რელევანტურობის შეფასების გარკვეულ ელემენტებსაც შეიცავს.
- სასამართლო პრაქტიკის შესწავლით დადგინდა - მხარეები სადაოდ აღარ ხდიან სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის ჩანაწერს იმ კუთხით, რომ წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით უნდა განიხილოს თუ არა

მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხი. პრაქტიკა განვითარდა ერთი კუთხით და არ არსებობს ამ ნორმის საკანონმდებლო ცვლილების რაიმე მიზეზი.

- სსსკ-ის 72-ე მუხლის მე-6 ნაწილს უნდა დაემატოს შემდეგი სახის წინადადება: „დაუშვებელი მტკიცებულებები ამოიღება საქმიდან და ინახება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე“.
- სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილს უნდა დაემატოს შემდეგი სახის ჩანაწერი: „ბრალდების მხარე შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გადაცემის მოთხოვნას აფიქსირებენ ცალკე ოქმით“.

მესამე ნაწილი ეხება წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა დასაშვებობის და საქმის არსებით განხილვისათვის გადაცემის თაობაზე მიღებული განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობის საკითხზე არსებულ დასკვნებს:

- უნდა საჩივრდებოდეს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დასაშვებობის და საქმის არსებით განხილვისათვის გადაცემის თაობაზე მიღებული განჩინება.

Grigol Robakidze University

With the right of manuscript

George Latsabidze

**The role of a Preliminary Hearing in the Process
of Proof**

Educational programme: Law

Thesis is presented for obtaining of the PhD Degree in Law

Abstract

Tbilisi

2026

Grigol Robakidze University

Scientific supervisor: **Tamar Sadradze**

Doctor of Law, Professor

The dissertation is available at the library of Grigol Robakidze University, Tbilisi, Irina Enukidze №3 (David Agmashenebeli Alley 13).

Table of Contents

introduction	30
Scientific literature a brief review of the research, the theoretical and practical context	34
The methodology of the study description and results.....	37
Discussion, scientific novelty.....	37
Recommendations and conclusion.....	46

Introduction

Research problems and research actuality - the issue of relevance and a thesis research interest in what role has a pre-trial hearing, the burden of proof process is caused by the fact that February 20, 1998 edition of the Georgian Criminal Procedure Code (here in after-CCP) not familiar with the stages and on 9 October 2009, received today, the incumbent CCP has the burden of proof process, the new standards are introduced, and a completely new and different court practice introduction, causing even more different, with new challenges put to justice.

Preliminary hearing session and related items in the review, when it turned out that the scarce literature on this issue in Georgia and not there is such a scholarly work, which reviews and thoroughly analyzes the preliminary hearing as one of the important and independent stages of the criminal process.

This is the first attempt to thoroughly discussed such important issues, such as preliminary hearing as an independent stage of the criminal process, and in this stage related to problematic issues, for the most part, the process, the relevant part of wardrobes and content to determine which preliminary hearing, the competence of the fall.

